

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 07
--------------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის ადმინისტრაცია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
--	-----------------

პროგრამის მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები: დასახლების საერთო კრება, პეტიცია, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სხვა ფორმატის მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმები. თუმცა არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სრულყოფილად ვერ ხორციელდება მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას და აქტუალურია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებულ იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ალტერნატიული ფორმები, რომელიც იქნება ეფექტური და რეალურად შესაძლებელი იქნება მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

- საჭიროა მოქალაქეთა მაქსიმალური ინფორმირება თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესების შესახებ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით.
- ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული პრობლემების უკეთ დანახვა იქ მაცხოვრებელი ადამიანების თვალსაწიერიდან და ამ პრობლემის მოგვარების გზების დასახვა უშუალოდ ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ადამიანების აქტიური ჩართულობით;
- მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების და ბიუჯეტის ფორმირების პროცესში და მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება მოსახლეობის ინტერესებზე მორგებით; ინფორმაციის გავრცელებისათვის გამოყენებული იქნება ტელევიზია, რადიო და ბეჭდური მედია, გააქტიურდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, მოხდება ვებ-გვერდის ფუქციონალური განახლება, ინფორმაციის მიღების ონლაინ საშუალებების დანერგვა.
- მომზადდება სამოქმედო სახელმძღვანელო, რომელშიც აღწერილი იქნება კავშირების არსი, მნიშვნელობა, შექმნის პროცედურები, შექმნისა და საქმიანობისთვის საჭირო ფორმულარები, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები;
- ჩატარდება საინფორმაციო კამპანია, შეხვედრების გრაფიკის შემუშავება, ბუკლეტების მომზადება ბეჭდვა, გამოკითხვის ანკეტების მომზადება და ბეჭდვა, საზოგადოების ინფორმირება პროგრამის მიზნებისა და პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ;
- ადმინისტრაციული უბნების მიხედვით განხორციელდება მოსახლეობის გამოკითხვა.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
2020 წლის ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევის გამოცემა	9 000		3 000	3 000	3 000

საინფორმაციო მასალების დამზადება და გავრცელება	83 000	10 000	23 000	25 000	25 000
საინფორმაციო მასალების (მედია, სოციალური მედია) საშუალებებში განთავსება	63 000		21 000	21 000	21 000
სმს საინფორმაციო შეტყობინებები	15 000		5 000	5 000	5 000
სულ პროგრამა	170 000	10 000	52 000	54 000	54 000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				
		2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
<p>უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში</p>	<p>გამუქებული ინფორმაციის მაჩვენებლის გაზრდა წინა წელთან შედარებით</p>	10%	10%	10%	10%